გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

22 აპრილი 2024

N 2-459

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

შპს „კლიმატზე“ „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2023 წლის 5 დეკემბრის N2-917 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

2024 წლის 16 აპრილს სამინისტროს მომართა შპს „კლიმატმა“ და შპს „REFCO“-მ, ითხოვეს შპს „კლიმატზე“ „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვით გაცემული ქლორდიფტორმეთანის (HCFC-22) 1 360 კგ-ის ოდენობით იმპორტის ნებართვის შპს „REFCO“-ზე გადაცემა.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის, შპს „კლიმატის“ და შპს „REFCO“-ს 2024 წლის 16 აპრილის N10642 განცხადების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „კლიმატზე“ „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2023 წლის 5 დეკემბრის N2-917 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. გაიცეს შპს „კლიმატზე“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 404610694) „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის ნებართვა (N000040) შემდეგი ნივთიერებების იმპორტისათვის შესაბამისი ოდენობით:

- 1,1,1,2 ტეტრაფთორეთანი (HFC-134a) – 10 000 კგ;
- R410A (HFC-32/HFC-125) – 6 000კგ;
- დიფთორმეთანი (HFC-32) – 3 000კგ;
- ქლორდიფტორმეთანის (HCFC-22) – 7 340კგ.“

2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „კლიმატს“;

3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „კლიმატის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თენგიზ ნასარიძე

მინისტრის მოადგილე